N 74 10/06/2020

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 6

დ. ჩოხატაური **29 მაისი 2020 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, ენვერი ახალაძე, უშანგი ართმელაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, შალვა ჩანტლაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, მაია კუტუბიძე, მამია ბარამიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: გიორგი რამიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, მაია გიორგაძე, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ზაზა ცინცაძე - საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილების უფროსი.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე სიტყვა ითხოვა მამია ბარამიძემ

- სოფელ ზოტში ოქროს მოპოვების სამუშაოებზე ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, თუ რა პროცესებთან გვაქვს საქმე.

ზაალ მამალაძე - ლიცენზია გაცემულია 2011 წელს ოქროს მოძიებით სამუშაოებზე. რადგან ეხლა არის წინა საარჩევნო პოლიტიკური სიტუაცია, გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს სურთ სოფელში სიტუაციის დესტაბილიზაცია. ბოლო პერიოდში ამ კომპანიის წარმომადგენლები არ გამოჩენილან სოფელში.
მამია ბარამიძე - საუბარია საერთოდ სხვა ლიცენზიაზე, რომელიც გაიცა 2016 წელს. შემოვდივარ წინადადებით გავაკეთოთ დროებითი ინტერფრაქციული კომისია.
ზაალ მამალაძე - სწორედ ამ ლიცენზიაზეა საუბარი. თუკი ვინმეს ექმება კითხვა ან სურს რაიმე ინფორმაცია მიიღოს, არავინ არ არის შეზღუდული მითუმეტეს საკრებულოს ფრაქციები და შუძლია წერილობით მოგვმართონ და მიიღონ პასუხები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ნოემბრის N53 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფარცხმის ქ. N1) კალისტრატე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ენვერი ახალაძემ, ალექსანდრე ყაჭეიშვილმა, დავით შარაშიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 1 (მამია ბარამიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ზაზა ცინცაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ნოემბრის N53 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფარცხმის ქ. N1) კალისტრატე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

I საკითხი:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

მოისმინეს:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ირაკლი ახობაძე - წარმოდგენილ დოკუმენტში დახარჯული ფული 330 ათასი ლარი არ ჩანს.

მაია გოგოლაძე - ყველაფერი სწორად არის გაწერილი და შესაბამისად ბალანსიც არის სწორი.

მაია კუტუბიძე - ვალდებულებების ციფრი სად წერია?

მაია გოგოლაძე - საბიუჯეტო კოდექსი არ ითვალისწინებს ვალდებულებების ჩვენებას.

ირაკლი ახობაძე - სკოლამდელ აღზრდაზე მიმდინარე წელს დაიხარჯა გასულ წელზე ბევრად მეტი.

მაია გოგოლაძე - დაემატა რამდენიმე შტატი და შტატგარეშე გადავიდა შტატში, რამაც გამოიწვია ცვლილება.

ირაკლი ახობაძე - ყველგან დასამატებელი გვექნება ხელფასი, არ იქნება საკმარისი.

მაია გოგოლაძე - აიპებს დეტალურად შეუძლიათ მოგაწოდოთ ინფორმაცია. გასულ წელს გაიცა დანამატები კულტურის და სპორტის განვითარების ცენტრებში, მათ აქვთ მერისთვის მიწერილი წერილი და მერის თანხმობა

მაია კუტუბიძე - დეფიციტის პირობებში რატომ ხდება ახალი თანამშრომლის დანიშვნა და დანამატის გაცემა.

მაია გოგოლაძე - აქ მაქვს საბიუჯეტო კოდექსის ის ნაწილი, სადაც დეტალურად არის გაშიფრული თუ როგორ ხდება ბიუჯეტის ბალანსის გამოყვანა, ციფრები არის ამის მიხედვით შეჯამებული, ამიტომ ყველა ციფრი სწორია.

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

II საკითხი:

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ზაზა ცინცაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზაალ მამალაძემ: საკრებულოს კომისიებს ქონდა შენიშვნები და დამატებები, რომლებიც წარმოდგენილია საკრებულოზე. საკითხს კენჭი უნდა ვუყაროთ ამ შენიშვნების და დამატებების გათვალისწინებით.

ამოცანა 1.1 დაბა ბახმაროს, როგორც საკურორტო რეკრიაციული ზონის, კერძო სექტორის შესაძლებლობებისა და ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა; (გვ.2)

ამოცანა 1.4 ტურისტული პოტენციალის შესწავლა და მისი გამოყენების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე; (გვ.2)

მიზანი 2. სოფლის მეურნეობის განვითარება, ადგილობრივი ბიზნესისა და მეწარმეობის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (გვ.2)

ამოცანა 2.4 სოფლის მეურნეობის კუთხით მოსახლეობის უნარების და კვალიფიკაციის ზრდის სისტემატური ხელშეწყობა (გვ.3)

ამოცანა 2.5 დაბის ცენტრის განვითარების კონცეფციის და გეგმა პროექტის შემუშავება; (გვ.3)

ამოცანა 2.6 სოფლის მეურნეობის დარგში ტექნიკისა და ინვენტარის განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; (გვ.3)

ამოცანა 2.7 წყალმომარაგებიასა და საირიგაციო სისტემების მოწესრიგება; (გვ.3)

ამოცანა 2.8 სასათბურე და სანერგე მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა; (გვ.3)

შედეგი 2.

- მუნიციპალიტეტში და დაბა ბახმაროში გაზრდილი კერძო სექტორის შესაძლებლობები და ტურისტული მიმზიდველობა; (გვ.3)
- გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა; (გვ.3)
- შემუშავებულია და ხორციელდება დაბის ცენტრის განვითარების გეგმა პროექტი (გვ.3)

ამოცანა 3.2 მუნიციპალიტეტის კულტურული სიმდიდრის შენარჩუნება-გამოყენების ხელშეწყობის მიზნით გამოფენებისა და ფესტივალების მოწყობა, ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ; (გვ.3)

ამოცანა 4.1 სოციალური პროექტების განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; (გვ.3)

ამოცანა 4.4 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა; (გვ.4)

ამოცანა 4.5 არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია და მისი ხელშეწყობა (გვ.4)

შედეგი 4.

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდის ხარისხი გაუმჯობესებულია; (გვ.4)
- ხელმისაწვდომია არაფორმალური განათლება. (გვ.4)

ამოცანა 5.3 თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კადრების (მწვრთნელები, ინსტრუქტორები) ფადამზადება; (გვ.4)

ამოცანა 5.4 მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია; (გვ.4)

შედეგი 5.

- ადგილობრივი მოსახლეობა ეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესს და მის პოპუალრიზაციას. (გვ.4)

დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. ასევე გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (შშმპ) ადაპტირებული გარემოს შექმნა და მათი ჩართულობა სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს. (გვ.4)

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

სოფლის მეურნეობა.

სახნავი მიწა შეადგენს 2764 ჰა. მრავალწლიან კულტურებს უკავია 4084 ჰა, ხოლო 2532 ჰა ერთწლიანი კულტურებისათვისაა განკუთვნილი. (გვ.6)

აღსანიშანვია მუნიციპალიტეტის ჰიდროენერგეტიკული რესურსი რასაც მთის ჩქარი მდინარეები უზრუნველყოფენ. კერძოდ: სოფელ ხევში მცირე ჰესის „ნაბეღლავჰესი“ გამოიმუშავებს 2 მგ/ვატ ელექტროენერგიას, სოფელ მეწიეთში „საშუალა ჰესი“ გამოიმუშავებს 12,5 მგ/ვატ ენერგიას, ასევე მშენებლობის პროცესშია „ზოტი ჰესი“ რომლის სიმძლავრეა 45 მგ/ვატ. (გვ.8)

SWOT ანალიზი

- ჰიდრო რესურსი მცირე ჰესებისათვის (მოქმედი ორი ჰესი) (გვ.16)
- კურორტ ბახმაროს, როგორც ზამთრის კურორტად განვითარების მზარდი პოტენციალი (გვ.16)

გარდა სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობებისა სამუშაო ჯგუფებში ასევე დასახელდა ისეთი განსახორციელებელი საკითხები, რომლებიც მიმდინარე წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული, თუმცა მიიჩნევა პრიორიტეტულ საკითხებად. ესენია:

ამოცანა 1.4. ტურისტული პოტენციალის შესწავლა და მისი გამოყენების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე; (გვ.19)

ამოცანა 2.4. სოფლის მეურნეობის კუთხით მოსახლეობის უნარების და კვალიფიკაციის ზრდის სისტემატური ხელშეწყობა; (გვ.19)

ამოცანა 2.5. დაბის ცენტრის განვითარების კონცეფციის და გეგმა პროექტის შემუშავება; (გვ.19)

ამოცანა 2.6. სოფლის მეურნეობის დარგში ტექნიკისა და ინვენტარის განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; (გვ.19)
ამოცანა 2.7. წყალმომარაგებიასა და საირიგაციო სისტემების მოწესრიგება; (გვ.19)

ამოცანა 2.8. სასათბურე და სანერგე მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა; (გვ.19)

ამოცანა 4.4. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა; (გვ.19)

ამოცანა 4.5. არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია და მისი ხელშეწყობა; (გვ.19)

ამოცანა 5.3 თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კადრების (მწვრთნელები, ინსტრუქტორები) ფადამზადება; (გვ.19)

ამოცანა 5.4 მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია; (გვ.19)

ამოცანა 1.1 დაბა ბახმაროს, როგორც საკურორტო რეკრიაციული ზონის, კერძო სექტორის შესაძლებლობებისა და ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა; (გვ.20)

ამოცანა 2.1 სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობის ამაღლების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის წახალისება (გვ.23)

ამოცანა 4.1 სოციალური პროექტების განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; (გვ.28)

დაფინანსების წყარო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (გვ. 29)

დანართი

- ✓ მდინარე გუბაზოული - „Sun Set“; (გვ.35)
- ✓ გურის ტბა - სოფელი ბუკისციხე; (გვ.35)

- ✓ ხიდისთავი - კალაშას ხეობა; (გვ.35)
- ✓ სიპები - სოფელი კოხნარი; (გვ.35)
- ✓ სოფელი ზემოხეთი - „სადათვიას“ ჩანჩქერი; (გვ.35)
- ✓ სოფელი ზემოფარცხმა - „ქვაბული ვანწყარო“; (გვ.35)
- ✓ სოფელი შუაფარცხმა - „ჭინკეს ქვა“ - მდინარე ორპირა; (გვ.35)

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

III საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ნოემბრის N53 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფარცხმის ქ. N1) კალისტრატე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ნოემბრის N53 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფარცხმის ქ. N1) კალისტრატე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> შოთა ჩხიკვაძემ .

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ნოემბრის N53 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფარცხმის ქ. N1) კალისტრატე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ მაია კუტუბიძემ გააკეთა განცხადება:

- გასულ წელს ორჯერ იყო საკრებულოს სხდომაზე საკითხი „ზოტი ჰიდროსთვის“ მიწების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. წინადადებით შემოვედი გასვლითი სხდომის ჩატარებაზე, და ჩვენ ფრაქციას მხარი არ დაუჭერია აღნიშნულზე, რაც არ არის დაფიქსირებული სხდომის ოქმში, ვფიქრობ ეს არის ტექნიკური ხასიათის შენიშვნა და გვინდა რომ გამოსწორდეს ოქმში შეტანით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა